

(=26 ოქმს თან ერთვის სხდომის ჩანაწერი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 8 მაისის სხდომის

ოქმი =26

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 15. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი. სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში 2012 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: მინდა წარმოგიდგინოთ საკითხი, რომელიც მოქმედი წესდების შესაბამისად ექვემდებარება თქვენთან შეთანხმებას, ეს გახლავთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წელს შესრულებული სამუშაო. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩემ მიერ წარმოდგენილი ანგარიში თქვენ ელექტრონული სახით გადმოგეზავნათ და, სავარაუდოდ, გაცნობილი ხართ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა ვიზუალური მასალის თანხლებით მოახდინა ზემოაღნიშნული ანგარიშის პრეზენტაცია.

პროფ. დავით ჯაფარიძე: წყლის და გაზის ხარჯვასთან დაკავშირებით მაინტერესებს ციფრები. რამდენია გადახარჯვა 2011 წელთან შედარებით და რატომ მოხდა ასე?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ციფრებს მოგაწვდით. თუმცა, მოგახსებენთ, რომ ძირითადი გადახარჯვა ხდება წყალზე.

პროფ. დავით ჯაფარიძე: რა ღონისძიებები გატარდა პრევენციის მიზნით?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: შეკეთდა ონკანები. ასევე, შეხვედრები მქონდა სპეციალისტებთან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჩვენ ვერ დავიცავთ თავს წყლის

ხარჯვისაგან, რადგან მოძველებულია თუჯის მილები, რომლებიც გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან არის გამოყენებაში და ხდება წყლის გაჟონვა ბევრ ადგილას. თავის დაცვის მიზნით, ერთადერთი საშუალებაა გამოიცვალოს მთელი სისტემა. ეს კი მოგეხსენებათ რა თანხა დაჯდება.

პროფ. იგორ კვესელავა: მიმდინარე წლის 17 მაისს იგეგმება საერთაშორისო კონფერენცია სტუ-ში, მაგრამ გვაქვს ქალაქის პრობლემა. რატომ ხდება ასე?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: აღნიშნულ საკითხზე ჩატარებულია ტენდერი და გვყავს გამარჯვებული. მე ვესაუბრე მომწოდებელს და წესით 8 დღის წინ უკვე უნდა ყოფილიყო შემოტანილი ქალაქი. მე დღესვე დავინტერესდები ამ საკითხით და დავუკავშირდები მას.

სპიკერი: ჩვენ შევიძინეთ ძალიან კარგი კრიმინალისტიკური ტექნიკა, თუმცა, ფართის გარემონტება არის შეფერხებული. რას გვეტყვით ამ საკითხზე?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ყველა ფაკულტეტზე დროულად ჩატარდა ტენდერი, მაგრამ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე ეს გახდა პრობლემა, რადგან გამარჯვებულმა პიროვნებამ მიიღო დისკვალიფიკაცია. მან იჩილა და ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ სტუ-მ გაიმარჯვა, დაგვარგეთ დრო. ამის მერე კანონის შესაბამისად გადავედით შემდეგ გამარჯვებულზე, რომელმაც უარი გვითხრა. მესამე – საერთოდ არ გამოცხადდა. მეოთხე გამარჯვებულმა კი განაცხადა თანხმობა და იმედს ვიტოვებთ, რომ შეასრულებს ზემოაღნიშნულ სამუშაოს.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: მოგაწვდით ინფორმაციას, რომ ჩვენ გვყავს ერთი პიროვნება, რომელიც შეამოწმებს რამდენად ხარისხიანად კეთდება სამუშაოები.

პროფ. დავით ჯაფარიძე: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მულტიმომოქმედმა კომისიამ იმსჯელა ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ არ გვქონია კრიტიკული მიდგომა, არ ჩავეძიეთ და მივეცით ზოგადი შეფასება. მიუხედავად ამისა, რომ არის დადებითი მხარეები, მაინც რჩება პრობლემები, რომლებიც მომავალში გადასახედია. ჩემი აზრით, 2012 წელი სტუ-სთვის იყო ძალიან მძიმე, რადგან ძირითადი ამოცანა, რომელიც რეაბილიტაციასთან იყო დაკავშირებული, ვერ განვახორციელეთ. დაგვიანდა ქონების გადმოცემა, დაგვიანდა ტენდერების გამოცხადება და, ამიტომ, მხოლოდ 490 000 ლარის სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. ეს მიმაჩნია ერთ-ერთ ნაკლად. ხოლო

ხელფასების შეუფერხებლად გაცემა და ზოგადად სოციალური საკითხები, მათ შორის დახმარებების გაცემა, უნდა შეფასდეს დადებითად.

რაც შეეხება სხვა პრობლემებს. ისევ პრობლემად რჩება შემოსავლების საკითხი, თუმცა, მენეჯერის ინსტიტუტის შემოღებამ მდგომარეობა გააუმჯობესა, მაგრამ სტუ-ში მნიშვნელოვანი გარდატეხა მაინც არ მოხდა. შემოსავლების 30% ვკარგავთ, რადგან ვგეგმავთ 80%-ს და იქიდან 90% შესრულებული. თავის თავად ვიხდით მოგების გადასახადს. ვფიქრობ, მენეჯერების ინსტიტუტი კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს. ასევე, მაქვს წინადადება აუდიტის სამსახურმა შეისწავლოს შესყიდვების საკითხი.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ საქმე კეთდება, თუმცა, პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა მიზანმიმართული, გეგმაზომიერი მუშაობა და ძალიან სერიოზული მოთხოვნა იმ სამსახურებისათვის, რომლებსაც ამ საკითხების გადაწყვეტა ევალება.

სპიკერი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის მხრიდან არის თანხმობა იმისა, რომ სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში 2012 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ შეთანხმებულ იქნეს სენატთან და მიეცეს ქალბატონ ქეთევან ქოქრაშვილს თანხმობა წარადგინოს ის რეგენტთა საბჭოში დასამტკიცებლად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 8 მაისის =26 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა 2012 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში.

სენატმა გადაწყვიტა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიეცეს თანხმობა 2012 წლის წლიური ანგარიშის რეგენტთა საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენის მიზნით.

სპიკერი: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აქვს საკითხი წარმოსადგენი, რომელიც არ არის დღის წესრიგით გათვალისწინებული.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინო სტუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურას და ცვლილებებს სტუ-ს არსებულ ადმინისტრაციის საშტატო განრიგში. მინდა მოგახსენოთ, რომ შტატგარეშედ, ხელშეკრულებით აყვანილი პერსონალის ნაწილი გადავიდა საშტატო განრიგში. შედეგად სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგი გაიზარდა 60 ერთეულით, წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად კი ბიუჯეტში მიღებულ იქნა 143 761 ლარის ეკონომია.

პროფ. დავით ჯაფარიძე: მიმაჩნია, რომ სახელფასო ფონდი დაუსაბუთებლად არის გაზრდილი.

პროფ. ჯემალ გახოკიძე: იმედის მომცემია, ის ფაქტი, რომ აღნიშნული ღონისძიებებით ვღებულობთ ეკონომიას. თუმცა, ეს არ არის ის ვარიანტი რომელსაც საბოლოოდ ისახავს მიზნად უნივერსიტეტის რექტორატი და სენატი. სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით ხელახლა გადაიხედება ყველაფერი და, საბოლოოდ, საშტატო განრიგი ოპტიმალურად უნდა დაიხვეწოს კიდევ უფრო მეტი ეკონომიის მიზნით, რაც მიმართული იქნება პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის გაზრდისათვის.

მინდა ერთი რამ შემოგთავაზოთ, კარგი იქნება თუ დაცვის სამსახურს დავუმატებთ უსაფრთხოების დაცვის ფუნქციას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 8 მაისის =26 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა სტუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურა და ცვლილებები სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგში.

სენატმა გადაწყვიტა: იმის გათვალისწინებით, რომ სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგში წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად ბიუჯეტში მიღებულ იქნება 143 761 ლარის ეკონომია, სენატმა შესაძლებლად ჩათვალა მიეცეს თანხმობა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურაში და სტუ-ს ადმინისტრაციის საშტატო განრიგში შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილი სახით.

აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება: შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატების პუნქტით გათვალისწინებული ხარჯებიდან 86.390 ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტით გათვალისწინებული ხარჯებიდან 380.300 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის ხელფასის პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯში, სულ – 466.690 ლარი და, საბოლოოდ, ხელფასის პუნქტით გათვალისწინებული ხარჯი განისაზღვროს 2.112.850 ლარით.

პროგ. ქეთევან ქოქრაშვილი: ასევე, მინდა მოგახსენოთ, რომ რომ დღეის მდგომარეობით ადმინისტრაციის ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯში დარჩენილია მხოლოდ 24 ლარი. აპრილ-მაისის თვეების განმავლობაში დაგროვდა არაერთი განცხადება ცალკეულ თანამშრომელთა პრემირების თაობაზე, მათ შორის სამამულო ომის მონაწილეთა პრემირების შუამდგომლობა, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, თუ მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, რომ ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე (გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე პირებისა, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა, და იმ პირთა, რომლებმაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში შესაბამისი ბრძანებებით უკვე აიღეს პრემია) გაიცეს საადდგომო პრემია, თითოეულზე საშუალოდ 100 ლარის ოდენობით, გთხოვთ, სტუ-ს ადმინისტრაციისა და შესაბამისად ნაერთი ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვებში შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტში 50.000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების მუხლის ნორმატიული აქტების საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების ხარჯების პუნქტიდან, ხოლო 30.000 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის იჯარასა და ქირასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტიდან. სულ გადასატანი თანხა შეადგენს 80.000 ლარს.

პროგ. დავით ჯაფარიძე: არის ფაკულტეტები, სადაც არ მოხდა პრემიების გაცემა, რადგან მათ არ ჰქონდათ ანგარიშზე ფული. ეს არ არის სამართლიანი მიდგომა.

სპიკერი: ირკვევა, რომ ასეთი სახის პრემიები არ გაცემულა უნივერსიტეტის რამდენიმე ფაკულტეტზე. ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია სტუ-ს

ადმინისტრაციამ პრემიის გარეშე დარჩენილი ფაკულტეტების ხელმძღვანელობასთან ერთად გამონახოს თანხები მათი პრემირებისათვის და ამის შემდეგ დაუბრუნდეს ეს საკითხი ხელახალ განხილვას.

სპიკერი: მიმდინარე საკითხებში ბატონ ბორის გითოლენდიას აქვს წარმოსადგენი საკითხი.

სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ბორის გითოლენდია: მინდა წარმოგიდგინოთ საკითხი სტუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორის უნივერსიტეტის ხარჯით დაფინანსების ფორმატიდან თვითდაფინანსებადი ცენტრის ფორმატზე გადასვლის შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი და მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 8 მაისის =26 სხდომაზე სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბორის გითოლენდიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორის თვითდაფინანსებადი ცენტრის ფორმატზე გადასვლის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: აღნიშნულ საკითხზე იმსჯელოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ და შემდეგ დაუბრუნდეს იგი სენატს განსახილველად.

სპიკერი: და ბოლოს მინდა მეც წარმოვადგინო ერთი საკითხი, რომელიც ეხება სტუ-ს სამართლისა და კრიმინალისტიკის კლინიკის რეორგანიზაციას. გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, რათა ორად გაიყოს ზემოაღნიშნული კლინიკა და ცალკე ჩამოყალიბდეს კრიმინალისტიკური ლაბორატორია შემდეგი საშტატო ერთეულებით: ლაბორატორიის ხელმძღვანელი – 0.5 საშტატო ერთეული, სპეციალისტი – 0.5 საშტატო ერთეული, ლაბორანტი – 0.5 საშტატო ერთეული, სამართლის კლინიკის ხელმძღვანელი – 1 საშტატო ერთეული, იურისტი – 1 საშტატო ერთეული,

სპეციალისტი – 0.5 საშტატო ერთეული, სპეციალისტი – 0.5 საშტატო ერთეული.
საბოლოო ჯამში აღნიშნული რეორგანიზაცია არ იწვევს შტატების გაზრდას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 8 მაისის =26 სხდომაზე სტუ-ს სენატის სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სამართლისა და კრიმინალისტიკის კლინიკის რეორგანიზაციის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: ორად გაიყოს ზემოაღნიშნული კლინიკა და ცალკე ჩამოყალიბდეს კრიმინალისტიკური ლაბორატორია შემდეგი საშტატო ერთეულებით: ლაბორატორიის ხელმძღვანელი – 0.5 საშტატო ერთეული, სპეციალისტი – 0.5 საშტატო ერთეული, ლაბორანტი – 0.5 საშტატო ერთეული, სამართლის კლინიკის ხელმძღვანელი – 1 საშტატო ერთეული, იურისტი – 1 საშტატო ერთეული, სპეციალისტი – 0.5 საშტატო ერთეული, სპეციალისტი – 0.5 საშტატო ერთეული.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე